

შპს „პიემ მეტალი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	12
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	19
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	20
6. ძირითადი საშუალებები	24
7. იჯარები	24
8. გაცემული სესხები	25
9. მარაგები.....	25
10. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები.....	26
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	27
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	27
14. ამონაგები.....	27
15. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	28
16. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	28
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	28
18. პირობითი ვალდებულებები	29
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	30
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	31

მმართველობის ანგარიშგება.....	32
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პიემ მეტალის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს

აუდიტორის მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პიემ მეტალის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ საქართველოში 2025 წლის იანვარში დაწესდა ახალი მოსაკრებელი, რომელიც ეხება არმატურის და გლინულის იმპორტიორებს. ახალი იმპორტის მოსაკრებლის ტარიფი 1 ტონაზე იმპორტირებულ არმატურაზე 420 ლარით განისაზღვრა და დადგენილება ძალაში 2025 წლის 1 სექტემბრამდე იქნება. ცვლილების მიზანი იყო არმატურის იმპორტის შემცირება და ადგილობრივი ფოლადის მწარმოებლების დაცვა. რამდენადაც კომპანია არმატურის იმპორტიორია, აღნიშნულმა ცვლილებამ მის საქმიანობაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება

გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-966804)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

8 აგვისტო, 2025

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პიემ მეტალის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს

აუდიტორის მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პიემ მეტალის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ საქართველოში 2025 წლის იანვარში დაწესდა ახალი მოსაკრებელი, რომელიც ეხება არმატურის იმპორტიორებს. ახალი იმპორტის მოსაკრებლის ტარიფი 1 ტონაზე იმპორტირებულ არმატურაზე 420 ლარით განისაზღვრა და დადგენილება ძალაში 2025 წლის 1 სექტემბრამდე იქნება. ცვლილების მიზანი იყო არმატურის იმპორტის შემცირება და ადგილობრივი ფოლადის მწარმოებლების დაცვა. რამდენადაც კომპანია არმატურის იმპორტიორია, აღნიშნულმა ცვლილებამ მის საქმიანობაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება

გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებითი შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის # **SARAS-A-966804**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

11 აგვისტო, 2025

შპს „პიემ მეტალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

('000 ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,152	902
აქტივების გამოყენების უფლება	7	1,073	905
არამატერიალური აქტივები		24	13
გაცემული სესხები	8	2,503	-
		4,752	1,820
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	37,256	66,574
საგადასახადო აქტივი	10	-	5,187
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,156	2,409
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	8,134	10,035
		46,546	84,205
სულ აქტივები		51,298	86,025
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
დაგროვილი ზარალი		(16,540)	(5,143)
სულ კაპიტალი		(16,540)	(5,143)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	7	532	606
		532	606
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	65,751	90,279
საიჯარო ვალდებულებები	7	606	283
საგადასახადო ვალდებულებები	10	949	-
		67,306	90,562
სულ ვალდებულებები		67,838	91,168
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		51,298	86,025

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 11 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

4-241

გიორგი მირიანაშვილი

მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

შორენა გელაშვილი



10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიემ მეტალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,152	902
აქტივების გამოყენების უფლება	7	1,073	905
არამატერიალური აქტივები		24	13
გაცემული სესხები	8	2,503	-
		4,752	1,820
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	37,256	66,574
საგადასახადო აქტივი	10	-	5,187
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,156	2,409
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	8,134	10,035
		46,546	84,205
სულ აქტივები		51,298	86,025
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
დაგროვილი ზარალი		(16,540)	(5,143)
სულ კაპიტალი		(16,540)	(5,143)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	7	532	606
		532	606
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	65,751	90,279
საიჯარო ვალდებულებები	7	606	283
საგადასახადო ვალდებულებები	10	949	-
		67,306	90,562
სულ ვალდებულებები		67,838	91,168
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		51,298	86,025

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 11 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გიორგი მირიანაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შორენა გელაშვილი

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიემ მეტალი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	14	253,217	125,228
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15	(241,887)	(119,111)
საერთო მოგება		11,330	6,117
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	16	(14,285)	(3,424)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(4,988)	(1,590)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		(7,943)	1,103
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	7,8,12	932	388
მოგება (ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა		(3,811)	51
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(10,822)	1,543
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(220)
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(10,822)	1,323

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიემ მეტალი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	დაგროვილი ზარალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(5,220)
მთლიანი სრული შემოსავალი	1,323
გამოცხადებული დივიდენდი	(1,246)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(5,143)
მთლიანი სრული ზარალი	(10,822)
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სარგებელი (შენიშვნა 8)	(575)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(16,540)

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პიემ მეტალი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(10,822)	1,543
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	16,17	829	453
მარაგების გაუფასურების ხარჯი	15	-	1,424
ზარალი ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან (მოგება) ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა		19	-
		3,811	(52)
ფინანსური შემოსავალი	8,12	(1,046)	(407)
ფინანსური ხარჯი	7	114	19
		(7,095)	2,980
საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება			
საგადასახადო აქტივები		6,136	(2,912)
მარაგები		29,318	(33,888)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,435	(1,049)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (კლება)			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(29,086)	45,470
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		708	10,601
საიჯარო ვალდებულების პროცენტის დაფარვა	7	(114)	(19)
მიღებული პროცენტები მიმდინარე ანგარიშებიდან	12	897	407
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(220)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		1,491	10,769
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(498)	(819)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(11)	(3)
გაცემული სესხები		(2,808)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,317)	(822)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
გადახდილი დივიდენდები		-	(1,246)
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	7	(536)	(373)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(536)	(1,619)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		(2,362)	8,328
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	10,035	1,764
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულა და ფულის ეკვივალენტებზე		461	(57)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	12	8,134	10,035

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „პიემ მეტალი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2019 წლის მაისში, თბილისში, საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა აქტიური ოპერაციები დაიწყო 2022 წლის აპრილიდან. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ქობულეთის ქუჩა №26. კომპანია რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405336925. კომპანიის მთავარ ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს არმატურის იმპორტი და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაცია.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 100 ლარს.

კომპანიის დირექტორია ბატონი გიორგი მირიანაშვილი.

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 47 და 25 ადამიანს, შესაბამისად.

კომპანიის 100% წილის მფლობელი და შესაბამისად, საბოლოო ბენეფიციარი არის ბატონი გიორგი მირიანაშვილი.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მიმოხილულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ათას ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოთხოვნა იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოთხოვნა გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშგებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციები გადაიანგარიშება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად ან იმ თარიღში არსებული კურსით, რომელშიც მოხდა გადაფასება.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით“, „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულსა და ფულის ეკვივალენტებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ თანხებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები არიან ისეთი ერთეულები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია უკვე განსაზღვრული თანხის ფულად ერთეულებად და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ქსელში არსებულ ფულად სახსრებსა და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ოჯარები

ოჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საოჯარო ვალდებულებას, გარდა:

- ოჯარისა, რომლის საოჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- ოჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

ოჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საოჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საოჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საოჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს ოჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება ოჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საოჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საოჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია ოჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საოჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

ოჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საოჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საოჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით ოჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საოჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საოჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის ოჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა ოჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლება), საოჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საოჯარო ვალდებულება. საოჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საოჯარო ვალდებულების შეფასება, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საოჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საოჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა ოჯარის ვადა, ან შეიცვალა საოჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები****აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. ძირითადი საშუალებებისთვის შეძენილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, კაპიტალიზდება როგორც შესაბამისი ძირითადი საშუალების ნაწილი.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება „კომპანიის“ მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	7
სატრანსპორტო საშუალებები	7

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდიწებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

კომპანიის მარაგები წარმოადგენს არმატურასა და გლინულას. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამება კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები არის გაუნაწილებელი მოგების განაწილება მათი გამოცხადების პერიოდში ან პერიოდის შემდგომ.

საგადასახადო აქტივი/ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის საქონლის (არმატურა და გლინულა) მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი საქონლის (არმატურა, გლინულა) რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება ძირითადად დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან წინასწარ გადახდილი ავანსის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება, ასევე, მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას, გარდა მიწოდების მომსახურებისა. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს ანაწილებს კონკრეტულ მომსახურებაზე და მიწოდების მომსახურებაზე.

ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ტრანსპორტირების ხარჯი წარმოადგენს გაყიდული საქონლის თვითღირებულებას, რადგან აღნიშნული ხარჯები გაიწევა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებზე განთავსებული თანხებიდან.

კომპანიის ფინანსური ხარჯი მოიცავს საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯებს.

ფინანსური შემოსავალი (ხარჯი) აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შესრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ქვემოთ მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი არეები, რომლებიც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს:

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები** - იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არის ლიკვიდური, ან არის მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სხვა ფინანსური აქტივები
- სხვა ფინანსური ვალდებულებები
- საიჯარო ვალდებულებები

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ რეპორტებს, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის ეფექტურობისა და პოლიტიკების შემოწმება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

კომპანიის საკმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი;

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხები	8	2,503	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	998	2,409
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	8,134	10,035
		11,635	12,444

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაწესებად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	61,559	-	61,559
საიჯარო ვალდებულებები	684	579	1,263
	62,243	579	62,822

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	87,453	-	87,453
საიჯარო ვალდებულებები	370	642	1,012
	87,823	642	88,465

მთავარ მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიას შეუძლია გადაიხადოს ვალდებულება გარკვეული საშეღავათო პირობით გადახდის ვადასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი). იმის გამო, რომ კომპანიას არ აქვს არსებითი პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, საპროცენტო განაკვეთის რისკი კომპანიისთვის მინიმალურია.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შპს „პიემ მეტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	150	2,353	-	2,503
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	988	-	998
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,990	1,130	14	8,134
	7,150	4,471	14	11,635
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	90	61,465	4	61,559
საიჯარო ვალდებულებები	-	1,138	-	1,138
	90	62,603	4	62,697
ღია საბალანსო პოზიცია	7,060	(58,132)	10	(51,062)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტები	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,396	-	2,409
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,885	150	-	10,035
	9,898	2,546	-	12,444
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	912	86,536	5	87,453
საიჯარო ვალდებულებები	-	889	-	889
	912	87,425	5	88,342
ღია საბალანსო პოზიცია	8,986	(84,879)	(5)	(75,898)

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
სავალუტო რისკის სენსიტიურობა	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	(11,626)	11,626	(16,976)	16,976

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფას 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე ისინი არ არიან წარმოდგენილნი ფას 7-ის რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს „პიემ მეტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	55	126	-	-	181
მატება	26	431	-	362	819
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	81	557	-	362	1,000
მატება	33	168	268	29	498
კლება	-	-	-	(28)	(28)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	114	725	268	363	1,470
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(5)	(7)	-	-	(12)
ცვეთა	(13)	(51)	-	(22)	(86)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(18)	(58)	-	(22)	(98)
ცვეთა	(20)	(96)	(41)	(72)	(229)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	9	9
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(38)	(154)	(41)	(85)	(318)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	63	499	-	340	902
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	76	571	227	278	1,152

7. იჯარები

კომპანიას იჯარით აღებული აქვს საოფისე და სასაწყობე ფართები. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია აშშ დოლარში. იჯარების ვადიანობა განსაზღვრულია 2025 წლიდან 2027 წლამდე შუალედში. იჯარების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი 2024 წლისთვის შეადგენდა წლიურ 8.39%-8.94%-ს (2023: 6.52%-8.57%-ს) იჯარების ვადიანობისა და ვალუტების მიხედვით.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი	საწყობი	სულ
31 დეკემბერი 2022	165	122	287
შემოსვლა	-	819	819
ღირებულების ზრდა სახელშეკრულებო პირობების არსებითი ცვლილების გამო	-	166	166
ცვეთა	(79)	(288)	(367)
31 დეკემბერი 2023	86	819	905
შემოსვლა	143	552	695
ღირებულების ზრდა სახელშეკრულებო პირობების არსებითი ცვლილების გამო	73	-	73
ცვეთა	(157)	(443)	(600)
31 დეკემბერი 2024	145	928	1,073

შპს „პიემ მეტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

7. იჯარები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საოფისე ფართობი	საწყობი	სულ
31 დეკემბერი 2022	167	119	286
შემოსვლა	-	819	819
ღირებულების ზრდა სახელშეკრულებო პირობების არსებითი ცვლილების გამო	-	166	166
საპროცენტო ხარჯი	8	11	19
საიჯარო გადასახდელები	(99)	(293)	(392)
საკურსო სხვაობა	(4)	(5)	(9)
31 დეკემბერი 2023	72	817	889
შემოსვლა	143	552	695
ღირებულების ზრდა სახელშეკრულებო პირობების არსებითი ცვლილების გამო	73	-	73
საპროცენტო ხარჯი	12	102	114
საიჯარო გადასახდელები	(148)	(502)	(650)
საკურსო სხვაობა	(2)	19	17
31 დეკემბერი 2024	150	988	1,138

8. გაცემული სესხები

	დაფარვის თარიღი	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2024
შპს "პიემ დეველოპმენტი" სესხი #1	მარტი 2027	0%	8.44%	აშშ დოლარი	2,353
შპს "პიემ დეველოპმენტი" სესხი #2	მაისი 2027	0%	12.56%	ლარი	150
					2,503

კომპანიამ გასცა სესხი თავის დაკავშირებულ მხარეზე - შპს "პიემ დეველოპმენტზე", ხოლო შპს "პიემ დეველოპმენტმა" აღნიშნული სესხით შეიძინა სამშენებლო კომპანია შპს "ხოშტარია 2"-ის 100%-იანი წილი. აღნიშნული კომპანია აშენებს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში. სამშენებლო სამუშაოების დასრულება იგეგმება 2027 წელს.

სარგებელი, რომელიც წარმოიქმნა დაკავშირებული მხარისთვის უპროცენტო სესხის გაცემის შედეგად წარმოადგენს 575 ათას ლარს 2024 წლის მდგომარეობით, რომელიც კომპანიამ კაპიტალში წარადგინა.

2024 წლის განმავლობაში გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 149 ათასი ლარი.

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
არმატურა	34,913	59,940
გლინულა	2,136	6,602
სხვა	207	32
	37,256	66,574

იმ მარაგების თვითღირებულება, რომლებიც ასახულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით შეადგენს 6,602 ათას ლარს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ ამოაბრუნა წინა წელს ჩამოფასებული მარაგები 1,424 ათასი ლარის ოდენობით, რაც ასახავს ნეტო სარეალიზაციო ღირებულების ზრდას.

მარაგები გზაში შეადგენს 1,112 ათას ლარს და 24,856 ათას ლარს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

10. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო ღირებულებით, თანხით 949 ათასი ლარი (ვალდებულება) და 5,187 ათასი ლარი (აქტივი), შესაბამისად.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,115	2,474
სხვა მოთხოვნები	10	66
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(127)	(131)
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსი	158	-
	1,156	2,409

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი სამართლიანი ღირებულებისაგან.

იმისათვის, რომ განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მეთოდს ფასს 9-ის შესაბამისად. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განსაზღვრისთვის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით.

რადგანაც კომპანიამ საქმიანობა დაიწყო მხოლოდ 2022 წლის შუა პერიოდიდან, მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის მსგავს ბიზნეს სფეროში მოღვაწე საწარმოების დაკვირვებად მონაცემებს. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	1-30 დღე	31-60 დღე	61-90 დღემდე	90-დან 180 დღემდე	180-360 დღემდე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	925	30	34	3	36	87	1,115
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	9	1	3	2	25	87	127

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	1-30 დღე	31-60 დღე	61-90 დღემდე	90-დან 180 დღემდე	180-360 დღემდე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	1,219	1,043	96	43	55	18	2,474
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	12	31	10	22	38	18	131

შპს „პიემ მეტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	(131)	(60)
კლება/(ზრდა) საანგარიშგებო წლის მანძილზე	(70)	(112)
ამოღება	74	41
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	4	(71)
31 დეკემბერი	(127)	(131)

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	6,990	9,885
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,144	150
	8,134	10,035

კომპანიას ერიცხება საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე. დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2024 წელს შეადგინა 897 ათასი ლარი (2023: 407 ათასი ლარი).

კომპანიის არც ერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	110	162
ვალდებულებები მთავარ მომწოდებელთან	61,413	86,401
გადასახდელი ხელფასები	36	578
გადასახდელი დივიდენდი	-	312
	61,559	87,453
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	4,192	2,826
	65,751	90,279

მოსალოდნელია, რომ ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულდება ერთ წელში.

14. ამონაგები

ამონაგები შემდეგი საქონლის გაყიდვებიდან

	2024	2023
არმატურა	246,796	114,731
გლინულა	6,220	10,478
სხვა	201	19
	253,217	125,228

შპს „პიემ მეტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

14. ამონაგები (გაგრძელება)

ამონაგები შეიძლება დაიყოს შემდეგ სეგმენტებად:

იურიდიული პირი

ფიზიკური პირი

2024	2023
251,403	122,392
1,814	2,836
253,217	125,228

კომპანია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შესასრულებელ ვალდებულებებს ასრულებს დროის გარკვეულ მომენტში.

15. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

არმატურა

გლინულა

მიწოდების ხარჯი

მარაგების ჩამოფასება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ

რეალურ ღირებულებამდე

სხვა

2024	2023
(235,969)	(106,649)
(4,251)	(10,061)
(1,487)	(969)
-	(1,424)
(180)	(8)
(241,887)	(119,111)

16. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები

ბროკერის მომსახურების ხარჯი

ხელფასი და სხვა სარგებელი

ცვეთა და ამორტიზაცია

საწყობის კომუნალური ხარჯი

საწყობის დაცვის ხარჯი

სხვა კომერციული ხარჯები

2024	2023
(6,990)	(2,402)
(6,292)	(463)
(574)	(340)
(67)	(23)
(55)	(55)
(307)	(141)
(14,285)	(3,424)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საბანკო და ვალუტის კონვერტაციის ხარჯები*

ხელფასი და სხვა სარგებელი

ცვეთა და ამორტიზაცია

საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები

საქველმოქმედო ხარჯი

დაზღვევა

მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები

ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი

სხვა ხარჯები

2024	2023
(3,234)	(242)
(955)	(867)
(255)	(113)
(161)	-
(49)	(66)
(47)	(24)
(24)	(49)
-	(71)
(263)	(158)
(4,988)	(1,590)

* საბანკო და ვალუტის კონვერტაციის ხარჯები გაიზარდა რუსეთის ფედერაციაში მთავარი მომწოდებლისთვის გადარიცხვების საკომისიოს ზრდის გამო.

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წლის მარტში კომპანიამ წამოიწყო ახალი სასამართლო დავა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. დეტალებისთვის იხილეთ მე-19 შენიშვნა.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლიდან, როდესაც ადგილი ჰქონდა სამართალდარღვევას, სამი წელია გასული.

ზემოთ ხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგანაც კომპანიას აქვს დაგროვილი ზარალი.

განაცხადი წინასწარ გადაწყვეტილებაზე

2024 წლის ნოემბერში კომპანიამ საგადასახადო ორგანოში შეიტანა წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე მოთხოვნა. კომპანია იღებს საშუამავლო-საბროკერო მომსახურებას ფიზიკური პირისგან. მომსახურების შინაარსიდან გამომდინარე, კომპანიის შეფასებით, აღნიშნული ანაზღაურება არ წარმოადგენს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულს იმ გარემოებასთან ერთად, რომ აღნიშნული ფიზიკური პირი საქართველოს რეზიდენტი არაა. კომპანიას ზემოთ ხსენებული საშუამავლო-საბროკერო მომსახურება დაბეგრილი აქვს სამემოსავლო გადასახადით.

წინასწარი გადაწყვეტილების განაცხადი ეხება იმ ფაქტს, რომ კომპანია საგადასახადო ორგანოსგან ითხოვს აღნიშნული ოპერაციის სახე ცვლილებას და გადახდილი საშემოსავლო გადასახადის დაბრუნებას. 2023 წლის აგვისტოდან 2024 წლის განმავლობაში გაცემული ანაზღაურებების შესაბამისი პოტენციურად დაბრუნებადი საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს 1,692 ათას ლარს. თუ წინასწარი გადაწყვეტილება დადებითი იქნება, კომპანიას ექნება უფლება გააგრძელოს ამგვარი მიდგომა 2025 წელს და შემდგომ პერიოდებში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ მკაცრი ეკონომიკური სანქციები გამოუცხადა რუსეთს. მოვლენები ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიის საოპერაციო საქმიანობას აქვს მნიშვნელოვანი პირდაპირი კავშირი რუსეთთან, კერძოდ კომპანიის ერთადერთი მომწოდებელი არის რუსეთის ფედერაციაში ოპერირებადი საწარმო. მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანია ახორციელებს ისეთი სახის საქონლით ვაჭრობას, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული და მისი ჩანაცვლება სხვა მომწოდებლების მოძიებით არ იქნება რთული. კომპანია ალტერნატიული მომწოდებლების აქტიური მოძიების პროცესშია, რათა მომწოდებელთა ქსელი გააფართოვოს.

შესაბამისად, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ომს არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელიც ომს შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგანაც გაურკვეველია ომის ზოგად ეკონომიკაზე ზემოქმედების სიდიდე. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და მოვლენების განვითარებას.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები და ნაშთები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი**31 დეკემბერი 2024****სხვა დაკავშირებული
მხარეები**

გაცემული სესხი

2,503

ფინანსური შემოსავალი

149

გაცემული სარგებელი

574

ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს სახელმწიფოებრივ ხელფასსა და სხვა ანაზღაურებას. 2024 და 2023 წლების განმავლობაში ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა 5,480 ათასი ლარი და 779 ათასი ლარი, შესაბამისად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №494 დადგენილების თანახმად, საქართველოში შემოღებულია ახალი სპეციალური იმპორტის გადასახადი, რომელიც ვრცელდება არმატურის იმპორტიორებზე (რომელთაც არ აქვთ არმატურაზე გაცემული პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1). ახალი იმპორტის გადასახადის ოდენობა შეადგენს 420 ლარს ტონაზე და ის ძალაში შევიდა 2025 წლის 25 იანვრიდან. ცვლილების მიზანს წარმოადგენდა არმატურის იმპორტის შემცირება და ადგილობრივი ფოლადის მწარმოებლების დაცვა.

აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის ოპერაციებზე, რადგანაც კომპანია არმატურის აქტიური იმპორტიორია. 2025 წლის იანვარში კომპანიამ განაგრძო არმატურის იმპორტი თავის მომწოდებელთან იმ ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც 2024 წლის ბოლომდე დაიდო, რითაც შეავსო წლის ბოლოს არსებული მარაგი და შეძლო გაყიდვების ოპერაციების გაგრძელება 2025 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ დადგენილება მიიღო 2024 წლის 31 დეკემბრის, აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია კომპანიას ფორმალურად მიეწოდა 2025 წლის 8 იანვარს. მომწოდებელთან 2024 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შესყიდულმა არმატურით დატვირთულმა ვაგონებმა საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა 2025 წლის 14 იანვარს, თუმცა მოხდა ადმინისტრაციული ხასიათის შეყოვნებები დოკუმენტების (მაგ. წარმოშობის სერტიფიკატები) შემოწმებაზე და საჭირო გახდა დამატებითი კვლევები, რის გამოც საბაჟო პროცედურები დროულად ვერ დასრულდა 2025 წლის 25 იანვრამდე. შედეგად, კომპანიას დაეკისრა 9,691 ათასი ლარის გადახდა დამატებითი იმპორტის მოსაკრებლის სახით.

2025 წლის მარტში კომპანიამ წამოიწყო სამართლებრივი დავა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, დადგენილება No. 494-ის გაუქმების მოთხოვნით, იმ საფუძველზე, რომ იგი ეწინააღმდეგება 1994 წლის „გენერალურ შეთანხმებას ვაჭრობასა და ტარიფებზე“ („GATT“). კომპანია ასევე ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან რომ ყოფილიყო ხელშეწყობა, არსებულ ვადაში შესაძლებელი იქნებოდა იმპორტირებული ტვირტის განბაჟება ძველი რეგულაციებით და კომპანიას არ მოუწევდა ზედმეტად 9,691 ათასი ლარის გადახდა, რამაც მას სერიოზული ფინანსური ზარალი მიაყენა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, თავისი სასამართლო დავის ფარგლებში, კომპანია ითხოვს დამატებითი იმპორტის მოსაკრებლების სრული ოდენობით ანაზღაურებას, რაც შეადგენს 9,691 ათას ლარს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პიემ მეტალი“

მმართველობის ანგარიშგება

(2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის)

შინაარსი:

1. შესავალი და ზოგადი მიმოხილვა	34
2. კომპანიის შესახებ	34
3. კომპანიის ძირითადი საქმიანობა	35
4. სამომავლო გეგმები	35
5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	35
6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	35
7. რისკ ფაქტორები	36
8. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	36
9. კომპანიის კონკურენტული მდგომარეობა	36
10. არაფინანსური მაჩვენებლები და კომპანიაში არსებული სამუშაო გარემო	36
11. ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები	37

1. შესავალი და ზოგადი მიმოხილვა

შპს „პიემ მეტალის“ შესახებ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობას, მომსახურების სტანდარტებს, მიღწევებსა და სამომავლო მიზნებს. ამასთანავე, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია ის რისკები და შემავრცელებელი ფაქტორები, რომლებსაც კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა.

აღნიშნული ანგარიშგებით გიზიარებთ ჩვენი კომპანიის მიერ განხორციელებულ და დასახულ მიზნებთან დაკავშირებულ ზოგად ინფორმაციას.

შპს „პიემ მეტალის“ დაკვეთით საქართველოს ბაზრისთვის იწარმოება უმაღლესი ხარისხის მეტალის პროდუქცია, კერძოდ კი, არმატურა და გლინულა. კომპანიის პრიორიტეტული დანიშნულებაა სეისმომდევრი, უსაფრთხო, ევროპული სტანდარტებით სერთიფიცირებული პროდუქციის ადგილობრივ ბაზარზე მიწოდება.

2. კომპანიის შესახებ

შპს „პიემ მეტალი“ ქართულ ბაზარზე ოპერირებას 2022 წლიდან იწყებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროის მონაკვეთში, ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი ასპექტი ბაზრის კვლევა და დარგის საფუძვლიანი შესწავლაა. ამავე წელს, კომპანიის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა, სხვა კომპანიებთან ერთად, საქართველოში ბაზრის ფასის სტაბილიზაციის ხელშეწყობაა, რომელმაც განსაკუთრებული ზრდა განიცადა რეგიონში განვითარებული მოვლენებისა და ადგილობრივი მწარმოებლების ფასის მკვეთრად მომატების გამო.

წარმატებული დამკვიდრების შემდეგ, 2024 წელს ორგანიზაციის საქმიანობა სტაბილურად მიმდინარეობს სამშენებლო მასალების მიმართულებით. იმატებს მომხმარებელთა სია, იზრდება გუნდის შემადგენლობა, ფორმდება ხელშეკრულებები ახალ პარტნიორებთან, მიმდინარეობს ბრენდის ცნობადობის ამაღლება, შეუწყვეტილად ივსება მარაგი და კონტროლდება პროდუქტის მიწოდების ხარისხიანობა, რაც განაპირობებს ჩვენ მიმართ სამშენებლო კომპანიებისა და დეველოპერების მაღალ დონეზე ნდობას.

ჩვენ, 2025 წელში, მკაფიო ხედვით, პროდუქტიულად, პერსპექტიულად და ქართულ ბაზარზე აღიარებული და სანდო კომპანიის სახელით შევაბიჯეთ.

დღეს შპს „პიემ მეტალი“ სამშენებლო მასალების მიმართულებით იკავებს ერთ-ერთ მოწინავე ორგანიზაციის პოზიციას და სამომავლოდ მიზნად ისახავს უმაღლესი ხარისხის არმატურის წარმოების ხაზის შექმნას. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომელიც დასრულდება დადებითი შედეგით მესამე კვარტლის ბოლოს და რომელიც საშუალებას მისცემს კომპანიას გავიდეს ადგილობრივი წარმოების დაახლოებით 200 000 ტონა არმატურის მოცულობაზე წლიურად და ასევე გააგრძელოს იმპორტი 100 000 ტონის ფარგლებში. ეს ყველაფერი ერთობლიობაში კომპანიას საშუალებას მისცემს, რომ გადაიქცეს საქართველოს ბაზრის მნიშვნელოვან მოთამაშედ და დაიკავოს ბაზრის წილის 50%.

აღნიშნული პროექტი კომპანიას საშუალებას მისცემს დამატებით დაასაქმოს 150 ადამიანი გრძელვადიანი პერსპექტივით.

აღსანიშნავია, რომ კომპანია აქტიურად ერთვება დასაქმების ფესტივალებსა და ფორუმებზე, რათა მოსახლეობისათვის სამუშაო ადგილები უფრო ხელმისაწვდომი გახადოს.

კომპანიას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სხვადასხვა სახის გაყიდვა-გამოფენებზე და გეგმავს უნივერსიტეტებთან და სტუდენტებთან ურთიერთანამშრომლობას მეტალურგიის განხრით.

კომპანია, როგორც აქტიური დამსაქმებელი, თავის დაქირავებულ პირს ყოველ ჯერზე, მათი გამორჩეული აქტიურობით, პრემია-ბონუსებით წამახალისებელ ღონისძიებებს ახორციელებს. კომპანიაში თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციის გასაუმჯობესებლად და სხვა უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად პერმანენტულად ტარდება ტრენინგები, თიშბილდინგი და მასტერკლასები.

3. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს „პიემ მეტალის“ საქმიანობა მოიცავს სამშენებლო მასალების გაყიდვის სფეროს და სრულად უზრუნველყოფს სწრაფ მიწოდებას თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, სეისმომდებლად მშენებლობას, სერთიფიცირებულ პროდუქციის რეალიზაციას, მის ევროპულ სტანდარტებსა და მაღალ ხარისხს.

წარმოდგენილი გვაქვს შემდეგი აქტიური პროდუქცია:

- B500B კლასის არმატურა - 8/32მმ
- გლინულა - 5,5მმ; 6,5მმ; 8მმ
- გასწორებული გლინულა - 8მმ
- კუთხოვანა
- ბადეები
- ლურსმნები

ჩვენი არმატურა დამზადებულია მადანზე და წარმოდგენილია სხვადასხვა ზომებისა და სახეობის უწყვეტი მარაგის სახით.

კომპანია „პიემ მეტალის“ მომსახურება გათვლილია როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებზე.

2022-2025 წლების განმავლობაში ჩვენმა მომხმარებელთა სიამ 600 კომპანიას გადააჭარბა და მოემსახურა 200-ზე მეტ ფიზიკურ პირს.

პერსონალი უზრუნველყოფს მომხმარებელთათვის მაღალკვალიფიციური კონსულტაციების გაწევას და მათ მოთხოვნებზე მორგებული პროდუქციის შეთავაზებას.

თბილისში ორგანიზაცია უზრუნველყოფს ყველაზე დიდ მეტალობაზას საქართველოს მასშტაბით, სადაც განთავსებულია 6 თვის ერთდროული მარაგები.

კომპანიამ ამ ყველაფერს მიაღწია ბიზნესის გრძელვადიანი ხედვით, სტრატეგიული მართვით და კომპეტენტური გუნდით, რომელიც წლიდან წლამდე შპს „პიემ მეტალთან“ ერთად იზრდება და ვითარდება.

4. სამომავლო გეგმები

მიუხედავად იმისა რომ 2024 წლის 31 დეკემბერს მიღებული იქნა მთავრობის დადგენილება არმატურის იმპორტის დამატებითი გადასახადების შესახებ, რომელმაც შეადგინა 420 ლარი ერთ ტონაზე, 2025 წელს კომპანიამ შეძლო არსებული მარაგების სწორი მართვის საფუძველზე განეხორციელებინა ოპერირება იმპორტის გარეშე და საშუალება მისცა გადასულიყო განვითარების ახალ ეტაპზე, რაც გამოიხატა არმატურის წარმოების ხაზის შეძენაში, რომლის მოლაპარაკებები საბოლოო ეტაპზეა

დღეს შპს „პიემ მეტალი“ სამშენებლო მასალების მიმართულებით იკავებს ერთ-ერთ მოწინავე ორგანიზაციის პოზიციას და სამომავლოდ მიზნად ისახავს უმაღლესი ხარისხის არმატურის წარმოების ხაზის შექმნას. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით სრულდება მოლაპარაკება და გარიგების საბოლოო ვადად განისაზღვრა მესამე კვარტლის ბოლო, რომელიც საშუალებას მისცემს კომპანიას გავიდეს ადგილობრივი წარმოების დაახლოებით წლიურად 200 000 ტონა არმატურის მოცულობაზე და ასევე გააგრძელოს იმპორტი 100 000 ტონის ფარგლებში. ეს ყველაფერი ერთობლიობაში კომპანიას საშუალებას მისცემს, რომ გადაიქცეს საქართველოს ბაზრის ძირითად მოთამაშედ და დაიკავოს ბაზრის წილის 50%.

აღნიშნული პროექტი კომპანიას საშუალებას მისცემს დამატებით დაასაქმოს 150 ადამიანი გრძელვადიანი პერსპექტივით.

ჩვენ მუდმივად ჩართულნი ვართ სოციალურ და საქველმოქმედო საქმიანობაში.

5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს.

6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ აქვს შეძენილი ან გასხვისებული აქციები.

7. რისკ ფაქტორები

ამჟამად, კომპანია მუშაობს ერთ მომწოდებელზე. არსებული რეგიონალური რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, მენეჯმენტი ფიქრობს მოწოდების დივერსიფიკაციას და სხვადასხვა ბაზრებიდან ამდაგვარი პროდუქციის იმპორტს, რათა არ მოხდეს აწყობილი სადისტრიბუციო ქსელისა და ინფრასტრუქტურის რისკის ქვეშ დაყენება. მანამდე, რათა დაზღვეული იყოს ასეთი ტიპის რისკები კომპანიას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გააჩნია მინიმუმ 6 თვის მარაგი, რომ არ მოხდეს უწყვეტი მოწოდების ჯაჭვის შეჩერება სხვა მომწოდებლებთან გადაწყობის პროცესში.

ამ რისკების დაზღვევას კიდევ დაემატა ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რაც გამოიხატება კომპანიის მიერ ადგილობრივი წარმოების ხაზის შეძენის გეგმებში და ნედლეულის უწყვეტად მოწოდებაში სხვადასხვა მომწოდებლებისგან.

8. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

სისტემატურად მიმდინარეობს იმპორტირებული პროდუქციის კვლევა, რათა გამოირიცხოს ბაზარზე უხარისხო პროდუქტის არსებობა.

9. კომპანიის კონკურენტული მდგომარეობა

საქართველოს ბაზარი ხასიათდება მაღალი კონკურენციით, რაც მოიაზრებს 2 დიდ არსებულ ადგილობრივ მწარმოებელ ქარხანას ქვეყანაში და, ასევე, მეზობელი ქვეყნიდან იმპორტირებულ პროდუქციას: აზერბაიჯანი, ირანი, თურქეთი და რუსეთი.

ამ ინდუსტრიის ბაზარზე ადგილის დამკვიდრება ძალზედ რთულია და, მოხარულნი ვართ, რომ შევძელით და დავიკავებთ ჩვენი ნიშა, რაც განპირობებული იყო რამოდენიმე ფაქტორით: ხარისხი, მარაგების მუდმივი შევსება (მათ შორის, ასორტიმენტის მრავალფეროვნება), მიწოდების სწრაფი სერვისი და მენეჯმენტი. აღნიშნული მიღწევით და მოქნილი საფასო პოლიტიკით საშუალება მოგვცა შეგვეძინა კეთილგანწყობილი მომხმარებლები/პარტნიორები, რომლებიც უკვე თითქმის 2 წელია მხოლოდ ჩვენს პროდუქციაზე მუშაობენ.

10. არაფინანსური მაჩვენებლები და კომპანიაში არსებული სამუშაო გარემო

2023 წელს, კომპანია „პიემ მეტალში“ დაახლოებით, საშუალოდ, 34 მუდმივად დასაქმებული ადამიანი იყო. კომპანიისთვის მთავარი გამოწვევა და პრიორიტეტია თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაო გარემოს ფორმირება.

საწარმოს მთავარი პრიორიტეტია დასაქმებულთა ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება. ყოველი თანამშრომელი უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაზღვევით და დაზღვევით უბედურ შემთხვევაში.

თავის მხრივ, კომპანია ითხოვს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვას, შრომის შინაგანაწესის დაცვას, საქმისადმი კეთილსინდისიერ და პატიოსან დამოკიდებულებას.

ამჟამად ორგანიზაციაში 40-მდე თანამშრომელია (2024 წლის ბოლოს: 47), რაც განაპირობებს სამუშაო სივრცის, ე.წ. ოფისების გაფართოებას, გუნდის წევრებისათვის საჭირო ინვენტარით და სამუშაოსთვის აუცილებელი ტექნიკით უზრუნველყოფას.

კომპანიაში სრულად არის დაცული ადამიანის უფლებები, არ არის შეზღუდული გამოხატვის თავისუფლება. ყველა დასაქმებული თანასწორია და აქვს თანაბარი განვითარების შესაძლებლობა.

11. ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	4%	5%
სწრაფი ლიკვიდობა	14%	19%
მიმდინარე ლიკვიდობა	69%	93%
ROA	-21%	2%
მარაგების ბრუნვა (დღე)	56	204
დებიტორული დავალიანების ბრუნვა (დღე)	2	7

2024 წელს საერთო მოგების მარჟა მცირედით შემცირდა (5%-დან 4%-მდე), რაც დაკავშირებულია არმატურის გასაყიდი ფასების დაწევასთან კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, ბაზრის გაძლიერებული კონკურენციის ფონზე, მაშინ როცა თვითღირებულების შემცირება მაინცდამაინც არ შეინიშნებოდა.

მიუხედავად ლიკვიდობის შემცირებისა, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია ახერხებს მოკლევადიანი რესურსების მობილიზებას გაყიდვების შემოსავლების სწრაფი ამოღებით, რაც აძლევს მას საშუალებას ოპერაციული საქმიანობის დაფინანსებისთვის.

ROA-ს კოეფიციენტის ვარდნა უკავშირდება კომპანიაში ხარჯების მზარდ დინამიკას, თუმცა წლის განმავლობაში უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრად არის გაუმჯობესებული მარაგების ბრუნვა, რაც მეტყველებს რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე და ოპერაციების ოპტიმიზაციაზე.

კოეფიციენტების დასაანგარიშებლად გამოყენებულია შემდეგი მონაცემები:

საერთო მოგების მარჟა = საერთო მოგება/ ამონაგები

მიმდინარე ლიკვიდობა = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები

სწრაფი ლიკვიდობა = (მიმდინარე აქტივები - მარაგები)/მიმდინარე ვალდებულებები

ROA = (წმინდა მოგება/ზარალი)/ჯამური აქტივები

მარაგების ბრუნვა = inventories/-COGS*365

დებიტორული დავალიანების ბრუნვა = receivables/revenues*365

მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 11 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გიორგი

მირიანაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შორენა გელაშვილი

11. ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

	2024	2023
საერთო მოგების მარჟა	4%	5%
სწრაფი ლიკვიდობა	14%	19%
მიმდინარე ლიკვიდობა	69%	93%
ROA	-21%	2%
მარაგების ბრუნვალობა (დღე)	56	204
დებიტორული დავალიანების ბრუნვალობა (დღე)	2	7

2024 წელს საერთო მოგების მარჟა მცირედით შემცირდა (5%-დან 4%-მდე), რაც დაკავშირებულია არმატურის გასაყიდი ფასების დაწევასთან კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, ბაზრის გაძლიერებული კონკურენციის ფონზე, მაშინ როცა თვითღირებულების შემცირება მაინცდამაინც არ შეინიშნებოდა.

მიუხედავად ლიკვიდობის შემცირებისა, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია ახერხებს მოკლევადიანი რესურსების მობილიზებას გაყიდვების შემოსავლების სწრაფი ამოღებით, რაც აძლევს მას საშუალებას ოპერაციული საქმიანობის დაფინანსებისთვის.

ROA-ს კოეფიციენტის ვარდნა უკავშირდება კომპანიაში ხარჯების მზარდ დინამიკას, თუმცა წლის განმავლობაში უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრად არის გაუმჯობესებული მარაგების ბრუნვალობა, რაც მეტყველებს რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე და ოპერაციების ოპტიმიზაციაზე.

კოეფიციენტების დასაანგარიშებლად გამოყენებულია შემდეგი მონაცემები:

საერთო მოგების მარჟა = საერთო მოგება/ ამონაგები

მიმდინარე ლიკვიდობა = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები

სწრაფი ლიკვიდობა = (მიმდინარე აქტივები - მარაგები)/მიმდინარე ვალდებულებები


ROA = (წმინდა მოგება/ზარალი)/ჯამური აქტივები

მარაგების ბრუნვალობა = inventories/-COGS*365

დებიტორული დავალიანების ბრუნვალობა = receivables/revenues*365

მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 11 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი
მირიანაშვილი

მთავარი ბუღალტერი





შორენა გელაშვილი